სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

MES 0 23 0000980193

09/08/2023

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის**

ბრძანება

**სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში
საბაკალავრო, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების
ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო და ქართულ ენაში მომზადების პროგრამებზე
2023-2024 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის გრაფიკისა და
საგამოცდო ვადების განსაზღვრის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის3 სექტემბრის N 122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის-წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ა” ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 02 აგვისტოს №14 ოქმის N2 საოქმო დადგენილებისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის სალომე თათულიშვილის სამსახურებრივი ბარათის (09/08/2023; N979945) საფუძველზე

ვბრძანებ:

1.სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2023-2024 სასწავლო წელი (ბაკალავრიატში, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე) დაიწყოს 2023 წლის 09 ოქტომბერს და დასრულდეს 2024 წლის 25 ივლისს:

- **სემესტრების ხანგრძლივობა განისაზღვროს შემდეგისახით:**

ა) I სემესტრი დაიწყოს 2023 წლის 09 ოქტომბერს და დასრულდეს 2024 წლის 23 თებერვალს;
ბ) II სემესტრი დაიწყოს 2024 წლის 11 მარტს და დასრულდეს 2024 წლის 25 ივლისს;

გ) პირველი სემესტრის სტუდენტთა ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია დაიწყოს 2023 წლის 31 აგვისტოს და დასრულდეს 2023 წლი 22 სექტემბერს. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის დაგვიანებით გავლა შესაძლებელია კანონმდებლობის ფარგლებში;

დ)სტუდენტთა ადმინსტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია დაიწყოს 2023 წლის 4 სექტემბერს და დასრულდეს 2023 წლის 30 სექტემბერს. დაგვიანებით რეგისტრაცია შესაძლებელია ინდივიდუალური განცხადებების განხილვის საფუძველზე.

- **სესიები ჩატარდეს შემდეგი გრაფიკით:**

ა) ზამთრის სესიები დაიწყოს 2024 წლის 22 იანვარს და დასრულდეს 2024 წლის 3 თებერვალს;
ა)¹ დამატებითი საგამოცდო პერიოდი განისაზღვროს 2024 წლის 2 თებერვლიდან 2024 წლის 13 თებერვლის ჩათვლით;
ბ) ზაფხულის სესიები დაიწყოს 2024 წლის 24 ივნისიდან და დასრულდეს 2024 წლის 5 ივლისს;
ბ)¹დამატებითი საგამოცდო პერიოდი განისაზღვროს 2024 წლის 4 ივლისიდან 2024 წლის 18 ივლისის ჩათვლით.

- **არდადეგების ხანგრძლივობა განისაზღვროს შემდეგი სახით:**

ა) ზამთრის არდადეგები დაიწყოს 2024 წლის 26 თებერვლიდან და დასრულდეს 2024 წლის 10 მარტს

2. ლექციის ხანგრძლივობა განისაზღვროს 50 წუთით, შესვენება 10 წუთით;
3. სწავლა დაიწყოს 09:00 საათიდან;
4. 2023-2024 სასწავლო წელი დასრულდეს 2024 წლის 25 ივლისს;
5. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
6.დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას (მ.ბეჟანიშვილი) ბრძანების გადაგზავნა უნივერსიტეტის ფაკულტეტებისათვის და სამსახურებისათვის;
7.სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე კონტროლი დაევალოს უნივერსიტეტის რექტორის მოადგილეს (ი. შიოშვილს);
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულსასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლისგამზირი N41).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები
სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი
ჭკადუა შალვა